FOR THE ISSUE OF THE IDENTITY OF ALI BEY AL-KABIR, RULER OF EGYPT AND KHAN OF THE TWO SEAS

ეგვიპტის მბრძანებლისა და ორი ზღვის ყაენის ალი ბეი ალ-ქაბირის ვინაობის საკითხისთვის

ALEKSANDRE MGEBRISHVILI
Doctor of Philological Sciences,
Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., No53, 1400, Georgia,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-4275-2417

Abstract. According to Georgian chroniclers, during the 17th and 18th centuries, many Georgians who had fled their homeland could be found across various countries, one of which was Egypt. Numerous sources recount the heroism and devotion of exceptional Georgians under foreign skies, though these accounts are often sparse, providing only brief glimpses of the events and individuals involved. Rather than offering a complete narrative, they are limited to scattered details, leaving the full picture incomplete. However, certain facts and individuals stand out—those whose achievements continue to resonate, their contributions remaining significant to this day, leaving a lasting impact on the history of other nations.

The central figure of this section of our work is one such individual. As T. Natroshvili aptly notes, this person has achieved immortality through their heroic deeds, labor, and unwavering dedication. History, as a living book, seemingly resurrects the figures of the past to introduce them to future generations, ensuring that their legacy endures.

These are the defining strokes in the portrait of a man who, despite reaching the height of prominence in captivity, has largely been forgotten and his true identity obscured to this day.

At the outset of this narrative, many researchers suggest that Ali Bey al-Kabiri was born into the family of an Orthodox priest named David, within the territory of Abkhazia. Some sources provide his full name, identifying him as David Mghebrishvili.

Certain accounts indicate that Ioseb Mghebrishvili was born in 1728 in Samurzakano (in what is now the Gali district), with his father, David, listed as the head of the temple in the village of Lidzava.

While these two locations are somewhat distant from one another—one in the present-day Gali district and the other in the Gagra district—it is conceivable that David, being a cleric closely associated with the Catholicos, may have been appointed as the head of the Lidzava Cathedral, which was in close proximity to the Catholicosate's principal center in Bichvinta. Moreover, despite the fact that the legal seat of the Catholicosate of Western Georgia remained the Bishopric of Bichvinta until the end of the 18th century, Catholicos Grigol Lortkipanidze was often unable to reach Bichvinta and, therefore, governed the Catholicosate from Gelati.

It is likely that for Priest David Mghebrishvili, his leadership of the Lidzava church was largely ceremonial. The possibility that his family resided in Samurzakano, with his son Ioseb being born there in 1728, is certainly plausible, especially given the unique circumstances of the region at the time. The majority of the population in this area was Georgian.

Grigol Lortkipanidze, who led the Catholicosate of Abkhazia for 46 years, was a man characterized by his dynamic energy, unwavering principles, and resolute intransigence. He

rightfully holds a distinguished and honored place among the leaders of the Catholicosates of Abkhazia. As mentioned earlier, the period of his leadership was one of the most challenging in Georgia's history. The harshness of Ottoman rule, the dire conditions of the population, and the widespread prevalence of the slave trade placed the people of Western Georgia at severe risk of cultural and demographic collapse.

Key words: Ali Bey al-Kabiri; Egypt; Grigol Lortkipanidze; Ioseb Mghebrishvili; Abkhazia; Samurzakano; Western Georgia; Egyptian Mamluks; Syria; Palestine; Damascus.

ალექსანდრე მღებრიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No53, 1400, საქართველო,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-4275-2417

აბსტრაქტი. ნაშრომში გამოკვლეულია XVII – XVIII საუკუნეებში ეგვიპტეში სამშობლოდან გადახვეწილი ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი პიროვნების ვინაობა, რომელმაც უცხოეთის ცის ქვეშ თავისი ღვაწლით არაერთი გმირობის და თავდადების მაგალითი უჩვენა. ეს პიროვნება იყო ალი ბეი ალ-ქაბირი. ჩვენი ნაშრომის გმირი იმ ადამიანებს ეკუთვნის, რომლებმაც თ. ნატროშვილის სიტყვით რომ ვთქვათ - თავიანთი გმირული საქმეებით, შრომით და გარჯით მოიხვეჭეს უკვდავება. ისტორია ხომ ცოცხალთა წიგნია, რომელიც თითქოსდა მკვდრეთით აღადგენს გარდასულ ჟამთა ადამიანებს, რათა გააცნოს ისინი შთამომავლობას.

მკვლევართა გარკვეული ნაწილის მოსაზრებით ალი ბეი ალ-ქაბირი მართლმადიდებელი მღვდლის - დავითის ოჯახში დაიბადა აფხაზეთის ტერიტორიაზე. წყაროთა ნაწილი ამ მღვდელს სახელით და გვარით - დავით მღებრიშვილად მოიხსენიებს. ალი ბეი ალ-ქაბირის ქართული სახელი ყოფილა იოსები. ზოგიერთი მოსაზრებით, იოსებ მღებრიშვილი 1728 წელს დაიბადა სამურზაყანოში (გალის რაიონი), ხოლო მისი მამა - დავითი მოხსენიებულია, როგორც სოფელ ლიძავას ტაძრის წინამძღოლი. მართალია, ეს ორი ლოკაცია საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთისგან, ერთი დღევანდელი გალის, ხოლო მეორე გაგრის რაიონში მდებარეობს. თუმცა, თუ ვივარაუდებთ, რომ დავითი კათალიკოსთან დაახლოებული სასულიერო პირია და საკათალიკოსოს ძირითად ცენტრად ბიჭვინთა მოიაზრება, გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო კათალიკოსის თანაშემწე იქვე მახლობლად ლიძავის ტაძრის წინამძღვრად ყოფილიყო გამწესებული. თანაც, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო ტახტის ადგილად იურიდიულად XVIII საუკუნის ბოლომდე რჩებოდა ბიჭვინთის საეპისკოპოსო, კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე უმეტეს შემთხვევაში ვერ ახერხებდა ბიჭვინთაში მიბრძანებას და საკათალიკოსოს განაგებდა გელათიდან.

შესაძლოა, მღვდელ დავით მღებრიშვილისთვისაც ლიძავას ეკლესიის წინამძღვრობასაც, ხშირად, ფორმალური ხასიათი ჰქონოდა. რაც შეეხება მისი ოჯახის სამურზაყანოში ყოფნას და ვაჟის, იოსების 1728 წელს აქვე დაბადების ფაქტს, სრულიად შესაძლებელია, ვინაიდან ხსენებულ პერიოდში, ქვეყნის ამ ნაწილში ვითარება სხვაგვარია. მოსახლეობის დიდ უმრავლესობას იქ ქართველები შეადგენდნენ.

საკვანძო სიტყვები: ალი ბეი ალ-ქაბირი; ეგვიპტე; გრიგოლ ლორთქიფანიძე; იოსებ მღებრიშვილი; აფხაზეთი; სამურზაყანო; დასავლეთ საქართველო; ეგვიპტის მამლუქები; სირია; პალესტინა; დამასკო.

შესავალი. ქართველი მემატიანეების გადმოცემით XVII – XVIII საუკუნეებში არაერთ ქვეყანაში შეხვდებოდით სამშობლოდან გადახვეწილ ქართველებს. ამ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ ეგვიპტე. სხვადასხვა წყაროები მრავლად იუწყებიან გამორჩეულ ქართველთა გმირობისა და თავდადების მაგალითების შესახებ უცხოეთის ცის ქვეშ, თუმცა ცნობათა უმრავლესობა ხშირად ძალზე ძუნწია ამა თუ იმ მოვლენის აღწერისას. არ არის საკმარისი ამა თუ იმ ფაქტის ან პიროვნების დახასიათებისას და სრული სურათის ნაცვლად, მხოლოდ მცირე შტრიხებით შემოიფარგლება. არსებობს ფაქტები, არსებობენ პიროვნებები, რომელთა ღვაწლს დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა და საგულისხმო წვლილი მიუძღვით სხვა ქვეყნების ხალხთა ისტორიაში.

ჩვენი ნაშრომის ამ ნაწილის მთავარი გმირი იმ ადამიანებს ეკუთვნის, რომლებმაც თ. ნატროშვილის სიტყვით რომ ვთქვათ - თავიანთი გმირული საქმეებით, შრომით და გარჯით მოიხვეჭეს უკვდავება. ისტორია ხომ ცოცხალთა წიგნია, რომელიც თითქოსდა მკვდრეთით აღადგენს გარდასულ ჟამთა ადამიანებს, რათა გააცნოს ისინი შთამომავლობას. ილია ჭავჭავაძე წერდა: „უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან-რა, თუ არა ერის გულისნადების და წყურვილის გამომეტყველნი და განმახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა. ამიტომაც ეს ამისთანა მოქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და დედამიწის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათი - საკუთარის ვინაობის დავიწყებაა...“ (ნატროშვილი, 1991, გვ. 6).

ეს არის იმ ადამინის პორტრეტის შემავსებელი შტრიხები, რომელმაც ტყვეობაში მწვერვალებს მიაღწია, მაგრამ მისი ნამდვილი ვინაობა დღემდე, ერთგვარად მივიწყებული და მიბინარებულია.

მეთოდები. ტექსტში გამოყენებულია თეორიული მეთოდოლოგიები: შედარება, ანალიზი, განზოგადება და სხვ. გამოყენებული შედარებით-ისტორიული მეთოდი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზი მოიცავს დასახელებულ თეორიულ მეთოდოლოგიებს.

შედეგები და მსჯელობა. ამ ისტორიის საწყის ეტაპზე საუბრისას ბევრი მკვლევარი მიუთითებს, რომ ალი ბეი ალ-ქაბირი მართლმადიდებელი მღვდლის - დავითის ოჯახში დაიბადა აფხაზეთის ტერიტორიაზე. ზოგიერთი წყარო ამ მღვდელს სახელით და გვარით - დავით მღებრიშვილად მოიხსენიებს.

პროფ. გოჩა ჯაფარიძე წერდა: ,,უეჭველია, რომ ალი ბეგი დაიბადა აფხაზეთის ტერიტორიაზე. ის ეგვიპტეში ჩაყვანილი, თავდაპირველი ადგილ-საცხოვრისის მიხედვით, იტყოდა რომ იყო აბაზა. სწორედ ამ სახელს უწოდებდნენ მუსლიმები XV ს-დან აფხაზებს. მნიშვნელოვანია ის, რომ ალი ბეგის მამა - დავითი, იყო მართლმადიდებელი მღვდელი, ხოლო აფხაზეთში ლიტურგიის ერთადერთი ენა იყო ქართული. უეჭველია, რომ მის ოჯახში კარგად იცოდნენ ქართული და გარემოცვაც ქართული იქნებოდა (მას ერქვა იოსები)'' (ჯაფარიძე, 2016, გვ. 183).

ამ მოსაზრებას გ. ჯაფარიძე იმეორებს სხვაგანაც. ,,სახელგანთქმული ალი ბეგ ალ-ქაბირი (დიდი), აფხაზეთში დაბადებული ქართველი მღვდლის, დავითის ვაჟი, ქრისტიანობაში იოსები, 14 წლისა შეიძინა იბრაჰიმ ქათხუდამ, რომლის კარზეც დაწინაურდა'' (ჯაფარიძე, 2005, გვ. 44).

პროფ. გ. ჯაფარიძის მიხედვით, ალი ბეგის წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობდა. ს. სონინი მას გერმანელად მიიჩნევდა.

ლუზინიანის მიხედვით ის დაიბადა ამასიის სამთავროში[1], მამამისი იყო ბერძნული ეკლესიის[2] მღვდელი და მისი სახელი იყო დავითი.

კ. ნებურის მიხედვით, იგი გახლდათ ვაჟი მღვდლისა საქართველოდან, ხოლო ს. პლეშჩევი წერდა, რომ ალი ბეგი იყო აბაზა (ჯაფარიძე, 2016, გვ. 182).

საგულისხმო ცნობებს იძლევა ვ. სულორი ტექსტში „ქარბუქთა დამაოკებელი“ და ოსმალთა რისხვა - ამბავი ქართველი მამლუქი იოსებ მღებრიშვილისა“. იგი წერს: „ცნობილია, რომ ალი ბეგი 1728 წელს დაიბადა, მაგრამ სად, ამაზე ერთიანი მოსაზრება არ არსებობს. მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ დიდი ბეგი ქალაქ ამასიაში უნდა დაბადებულიყო, რომელიც დღეს თურქეთის კუთვნილებაა, ნაწილი კი ფიქრობს, რომ ალ-ქაბირი წარმოშობით აფხაზეთიდან უნდა ყოფილიყო, რაზეც ზოგი ისტორიული წყაროც მიანიშნებს. ალი ბეგის მამა, დავით მღებრიშვილი ეკლესიის წინამძღვარი ყოფილა და იოსებს (ასე რქმევია ალი ბეგს სინამდვილეში) ჭეშმარიტ მართლმადიდებლად ზრდიდა, ვიდრე 13 წლისა არ გაიტაცეს და მონად არ გაყიდეს ეგვიპტეში“ (სულორი, 2018).

ალი ბეის საკითხს ეხება ზ. ჩაფიჩაძე. იგი მიუთითებს: „Али Бей Ал-Кабир (Ali Bey Al-Kabir) Мамлюкский султан Египта в 1768-1772 гг. Был родом из Абхазии или Мингрелии. Датский путешественник Карстен Нибур (Carsten Niebuhr) называл его отца Грузинским священником. Его история описана в „Истории бунта Али Бея“ известного путешественника Совер Лузиньяна (Sauveur Lusignan). В 1741 году он был похищен турками, продан в Каире и постепенно возвысался до шейха в 1760 году“ (Чапичадзе, 2016, стр. 132).

აღნიშნულ საკითხებზე ყურადღება გამახვილებულია აღმოსავლეთის ისტორიის ექვს ტომეულის მესამე ტომშიც: „Новому правителю Египта едва минуло 29 лет. Он родился в 1728 г. В Абхазии всемье православного священника...“ (История Востока, 2000, стр. 417).

ზოგიერთი მოსაზრებით, იოსებ მღებრიშვილი 1728 წელს დაიბადა სამურზაყანოში (გალის რაიონი), ხოლო მისი მამა - დავითი მოხსენიებულია, როგორც სოფელ ლიძავას[3] ტაძრის წინამძღოლი.

მართალია, ეს ორი ლოკაცია საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთისგან, ერთი დღევანდელი გალის, ხოლო მეორე გაგრის რაიონში მდებარეობს. თუმცა, თუ ვივარაუდებთ, რომ დავითი კათალიკოსთან დაახლოებული სასულიერო პირია და საკათალიკოსოს ძირითად ცენტრად ბიჭვინთა მოიაზრება, გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო კათალიკოსის თანაშემწე იქვე მახლობლად ლიძავის ტაძრის წინამძღვრად ყოფილიყო გამწესებული. თანაც, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო ტახტის ადგილად იურიდიულად XVIII საუკუნის ბოლომდე რჩებოდა ბიჭვინთის საეპისკოპოსო, კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე უმეტეს შემთხვევაში ვერ ახერხებდა ბიჭვინთაში მიბრძანებას და საკათალიკოსოს განაგებდა გელათიდან.

შესაძლოა, მღვდელ დავით მღებრიშვილისთვისაც ლიძავას ეკლესიის[4] წინამძღვრობასაც, ხშირად, ფორმალური ხასიათი ჰქონოდა. რაც შეეხება მისი ოჯახის

[1] ამასიაში იგულისხმება აბაზია (აფხაზეთი).

[2] ასე მოიხსენიებდნენ მართლმადიდებელ სასულიერო პირებს.

[3] ლიძავა - სოფელი მდებარეობს ბიჭვინთის კონცხზე, ლიძავის თემში. სხვადასხვა დროს სოფელს ერქვა „აჯრა“ (აფხაზურად - „მუხნარი“), „ლძაანი“ (XX საუკუნის 50-იანი წლების დამდეგს), 1955 წლიდან „ლიძავა“, ხოლო აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაციის შემდეგ სოფელს დაარქვეს „ლძაა“. საგულისხმოა, რომ ერთ-ერთი არქეოლოგიური გათხრების შედეგად ლიძავაში აღმოჩნდა ორი სახეობის კოლხური ცულების არაერთი ეგზემპლარი. მათ შორის ბრინჯაოს ცული, რომელსაც კოლხური ცულების პროტოტიპად მიიჩნევენ. ეს აღმოჩენა დათარიღებულია ძველი წელთაღრიცხვის XV-XIV საუკუნეებით და ბიჭვინთის განძის სახელით არის ცნობილი.

[4] სოფელ ლიძავაში ეკლესიის არსებობა დასტურდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიის 2003 წლის 7 აგვისტოს დადგენილებითაც, რომელიც ეხება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებლური ტაძრების,

სამურზაყანოში ყოფნას და ვაჟის, იოსების 1728 წელს აქვე დაბადების ფაქტს, სრულიად შესაძლებელია, ვინაიდან ხსენებულ პერიოდში, ქვეყნის ამ ნაწილში ვითარება სხვაგვარია. „თურქები ქრისტიანობას ავიწროვებდენენ ყველგან, სადაც ბატონობდნენ, მაგრამ ეკლესიები მასობრივად არ გაუნადგურებიათ და ოფიციალური დევნა დაპყრობილი ქრისტიანების წინააღმდეგ არ გამოუცხადებიათ. დადგენილი ფაქტია, რომ ქრისტიანობა აფხაზეთში აფსუებმა გაანადგურეს, თუმცა ეს ვერ შეძლეს სამურზაყანოში, ვინაიდან იქ მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ“ (გამახარია, 2005, გვ. 318).

გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომელიც 46 წლის განმავლობაში მართავდა აფხაზეთის საკათალიკოსოს, გამოირჩეოდა ენერგიულობით, შეუვალობითა და პრინციპულობით. მას უდაოდ გამორჩეული საპატიო ადგილი უკავია აფხაზეთის კათალიკოსთა შორის. როგორც ზემოთ ვამბობდით, მისი მოღვაწეობის პერიოდი ერთ-ერთი ურთულესია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ოსმალეთის ბატონობის სიმძიმე, მოსახლეობის მძიმე მდგომარეობა და ტყვეთა სყიდვის გაუგონარი გავრცელება გადაშენების საფრთხის წინაშე აყენებდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას.

„გრიგოლ კათალიკოსი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე (1696-1742) ენერგიულად იბრძოდა ტყვის სყიდვისა და მაჰმადიანობის გავრცელების წინააღმდეგ“ (ლორთქიფანიძე, 2022, გვ. 208). XVIII საუკუნის დასაწყისში, რადგანაც „ქრისტიანობა მოუძლურებული იყო“, მან პირობა დაადებინა იმერეთისა და ოდიშის თავადებს: „იმერეთის წასახდენად და ასაოხრებლად ჩვენ თათარს არც პირი მივცეთ, და თუ ვინ იცის და თათარი ლაშქრით აქ ჩამოვიდეს იმერეთის წასახდენად. ჩვენ არც მივიდეთ მასთან და უწინამძღვროთ და არც მათი ვიწამოთ რა“. ფიცის დამდებმა ფეოდალებმა კათალიკოსს აღუთქვეს, რომ ყოველგვარ ღონეს იხმარდნენ თურქთაგან ქუთაისის ციხისა და იმერეთის გასათავისუფლებლად. 1701 წელს ოდიშის გამგებელმა ლიპარტიანმა ფიცით აღუთქვა კათალიკოსს ტყვის ყიდვის „გადაგდება“ (ჩხარტიშვილი, 1973, გვ. 484).

კათალიკოს გრიგოლის პერიოდში ტყვეთა გაყიდვის აკრძალვის ფაქტს ადასტურებს თ. ჟორდანიაც (ჟორდანია, 1913, გვ. 262).

მისი ენერგიული და ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგად, შესაძლებელი გახდა აღდგენილიყო საკათალიკოსოს მიწასთან გასწორებული მეურნეობა. დაბრუნებულ იქნა ოდიშის, რაჭის და სხვა ფეოდალთა მიერ მიტაცებული საკათალიკოსო მამულები, გატარდა რიგი საგადასახადო რეფორმები, რომლებიც საკათალიკოსოს შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფდა. ასეთი შორსმჭვრეტელური და გონივრული პოლიტიკის წყალობით აფხაზეთის საკათალიკოსო თანდათანობით გადაიქცა დასავლეთ საქართველოს ერთადერთ გამაერთიანებელ, ქვეყნის გადამრჩენელ ძალად.

ცხადია, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ გადადგმულ პრინციპულ, იმავდროულად ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ნაბიჯებს მაქსიმალურ ეფექტურობას შესძენდა კათალიკოსის თანამოაზრეთა და თანამებრძოლთა წრე. იმ ადამიანთა წრე,

---

მონასტრების, მათი ნანგრევების საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად ცნობის საკითხს. ამ დადგენილების მიხედვით ამჟამად ამ ტერიტორიაზე შუა საუკუნეებით დათარიღებული ეკლესიის ნანგრევი მდებარეობს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე). ლიძავას ტერიტორიაზე შუა საუკუნეებში აგებული ტაძრის არსებობის ფაქტს ადასტურებს უფრო ადრინდელი წყაროებიც. საილუსტრაციოდ იხ. სოხუმის სამხედრო განყოფილების სოფლების სია ეკლესიების, მღვდლების, აგრეთვე მართლმადიდებელთა და მუსულმანთა რაოდენობის მითითებით (1868 წ.). დოკუმენტი გამოქვეყნებულია ჯ. გამახარიას ნაშრომში „აფხაზეთი და მართლმადიდებლობა“ (გამახარია, 2005, გვ. 940). ხსენებული ტაძრის დღევანდელი მძიმე მდგომარეობის შესახებ მიუთითებენ სხვებიც. მაგ. http://maps.nekeri.net ნათქვამია, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ამ ტერიტორიაზე მდებარე ეკლესიის შესწავლა და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება ამჟამად შეუძლებელია. ეკლესიის კედლები მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია და საჭიროებს სასწრაფო კონსერვაციას.

რომლებიც კათალიკოსის სახელით კოკნკრეტულ მოქმედებებს ახორციელებდნენ სხვადასხვა მიმართულებით. ისიც ცხადია, რომ ეს მოქმედებები არ და ვერ იქნებოდა ყველასათვის სასურველი და მისაღები. რა თქმა უნდა, არსებობდა უკმაყოფილო დიდგვაროვანთა წრე, რომლებსაც უფლებები შეეზღუდათ, შემოსავალი შეუმცირდათ, იძულებით გამოვიდნენ კომფორტის ზონიდან და ჩასაფრებული პოზიციებიდან დაელოდებოდნენ ხელსაყრელ მომენტს ჯავრის ამოსაყრელად.

კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის ორმოცდაექვსწლიანი მმართველობა დასრულდა XVIII საუკუნის ორმოციანი წლების დამდეგს. იგი გარდაიცვალა 1742 წელს.[5]

კათალიკოსის გარდაცვალების ფაქტი საგრძნობლად ართულებს არსებულ ვითარებას. შემდეგი კათალიკოსები ვერ იჩენენ სათანადო ყურადღებას აფხაზეთის მიმართ. ამის მიზეზებად შესაძლებელია დასახელდეს რთული ვითარება რეგიონში, დროის ნაკლებობა, სხვა პრიორიტეტები, შესაბამისი უნარების ნაკლებობა და ა.შ. ასეა თუ ისე, გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ საკათალიკოსოში მობილიზებულ ეროვნულ ძალთა ერთობისთვის 1742 წელი უძლიერეს დარტყმად იქცა. ჯ. გამახარიას სიტყვით რომ ვთქვათ, „თურქეთის ბატონობის, ისლამის მოძალებისა და მწვავე შიდა ფეოდალური დაპირისპირებების პირობებში ვერ ხერხდებოდა აფხაზეთისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა, ამ ტერიტორიაზე ახლად დამკვიდრებული მოსახლეობის მონათვლა, რისი სერიოზული მცდელობა გრიგოლ ლორთქიფანიძის კათალიკოსობის შემდეგ XVIII საუკუნეში არც ყოფილა“ (გამახარია, 2005, გვ. 309).

კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ შექმნილი ახალი, არასახარბიელო ვითარება, ცხადია, ნეგატიურად აისახებოდა მასთან დაახლოებულ პირთა პირად ცხოვრებაზეც. სასულიერო პირთა გარკვეული წრისთვის შესაძლოა სახიფათოც ყოფილიყო ძლიერი მფარველის ხელის მოკლება, ხოლო ათასი ჯურის შურის მაძიებლისთვის კი პირიქით, წამახალისებელი როლი ეთამაშა.

აქ გვაქვს ერთი საინტერესო დამთხვევა.

პროფ. გ. ჯაფარიძე ნაშრომში ,,საქართველო და ეგვიპტის მამლუქები“ მიუთითებს, რომ პატარა იოსები 1741 წელს მოიტაცეს სამშობლოდან. (ჯაფარიძე, 2016, გვ. 183) თუმცა, სხვა ნაშრომში, იგივე ავტორი წერს, რომ ,,სახელგანთქმული ალიბეგ ალ-ქაბირი (დიდი), აფხაზეთში დაბადებული ქართველი მღვდლის, დავითის ვაჟი, ქრისტიანობაში იოსები, 14 წლისა შეიძინა იბრაჰიმ ქათხუდამ“ (ჯაფარიძე, 2005, გვ. 44).

ვინაიდან დადგენილი ფაქტია, რომ იოსები დაიბადა 1728 წელს, 14 წლისა იგი იქნებოდა არა 1741, არამედ 1742 წელს. იოსების სამშობლოდან გატაცების თარიღად დაახლოებით 1743 წელს ასახელებს მერაბ ტიკაძე. შრომაში „არაბული ქვეყნები ოსმალთა ბატონობის პერიოდში (XVI ს. - XIX ს.)“ მითითებულია, რომ „ალი ბეგს „ას-საღირს“ უწოდებდნენ, მაგრამ შეიხ ალ-ბალადის თანამდებობაზე აღზევების შემდეგ მან მემკვიდრეობით მიიღო სახელი „ალ-ქაბირ“. ამ სახელით შევიდა ეგვიპტის ისტორიაში და ქართველ მკვლევართა განსაკუთრებული ინტერესი დაიმსახურა პირველ რიგში თავისი ქართული წარმომავლობის გამო. მომავალი შეიხ ალ-ბალადი ეგვიპტეში მოხვდა დაახლოებით 1743 წელს“ (ტიკაძე, 2012, გვ. 27).

ის, რომ გატაცების მომენტში იოსები 14 წლისაა მიუთითებენ სხვა წყაროებიც (თოფურია, 2017).

[5] ამ ფაქტს ადასტურებენ შემდეგი შრომები: ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბილისი, 2005, გვ. 307; თ. ქორიძე, აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლ II (ლორთქიფანიძე), საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ენციკლოპედია, ტ. 2, თბილისი, 2021, გვ. 254; ლ. ტყეშელაშვილი, გელათი მეორე იერუსალიმი სხვა ათინა, ქუთაისი, 2007, გვ. 94 და სხვ.

ე.ი. ბავშვის გატაცება ხდება კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის გარდაცვალებისთანავე. ანუ, შესუსტდა თუ არა საკათალიკოსო ტახტის გავლენა და ყურადღება აფხაზეთის მიმართულებით.

ხომ არ იყო ეს შურისძიება?

შურისძიება - მანამდე უფლება შეზღუდულ ფეოდალთა მხრიდან.

შურისძიება - ტყვის ყიდვის აკრძალვით შემოსავლებ შემცირებული, უკმაყოფილო, ჩასაფრებული ჯგუფების მხრიდან, ან სულაც კათალიკოსის შეუვალი, პრინციპული, ეროვნული და სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა პროტესტის უსუსური გამოხატულების ერთ-ერთი ვანდალური ფაქტი, სწორედ კათალიკოსის ნდობით აღჭურვილი წრის შევიწროებით დაწყებული ძველი, მანკიერი, არაადამიანური პრაქტიკის აღდგენის მცდელობა.

ასეა თუ ისე, მშობლიური სახლიდან გატაცებული, ტყვედ გაყიდული 14 წლის იოსებ მღებრიშვილი[6] სამშობლოდან ძალიან შორს, ეგვიპტის მამლუქთა შორის მოახვედრა განგებამ.

ეს მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა:

მონათა ბაზარზე გაყიდული ბავშვი საჩუქრად მიართვეს ასევე ქართული წარმოშობის იბრაჰიმ ქათხუდას[7], რომელსაც მამლუქთა არაერთი ასეული ჰყავდა საკუთარ მფლობელობაში. ქათხუდას სახლში მიაღებინეს იოსებს ისლამი და უწოდეს - ალი. მალე ეს სახლი მისთვის მშობლიურ სახლად, ხოლო იქ მყოფი სხვა ახალგაზრდა მამლუქები ძმებად გადაიქცნენ.

სწორედ ქათხუდა აღმოჩნდება ის ადამიანი, რომელმაც ალის გზა გაუხსნა აღმავალი იერარქიის გზაზე. ბედუინებთან პირველ ბრძოლებში გამოჩენილმა სიმამაცემ პირველი წარმატება მოუტანა და ქაშიფადაც[8] დაწინაურდა.

„In the latter part of the 18th century the number of tribal chiefdoms and Bedouin in the capacity of a beq (bay, or multazim) grew, particulaty in Upper Egypt and in the Delta region. To ease the burden on the villagers the Mamluk sultan ‘Ali Bey al-Kabir, who ruled Egypt from 1760 to 1772, took military measures to curtail the power of the Bedouin sheiks. Mehmmet ‘Ali continued this policy and brought about the expulsion of Bedouin tribes from the Nile Basin, chasing them back to the Arabian Peninsula and further eastward and northward” (Kressel & Aharoni, 2018, p. 6).

უკვე 1760 წლისთვის ის იკავებს შეიხ ალ-ბალადის თანამდებობას, რაც უმაღლეს თანამდებობად ითვლებოდა მამლუქთა ოლიგარქიაში. ,,1763 წელს მეტოქე ბეგებმა

---

[6] წყაროთა დიდ ნაწილში მართლმადიდებელი მღვდლის - დავითის, მისი ვაჟის - იოსების და ამ ოჯახის შესახებ საუბრისას არ არის დასახელებული მათი გვარი - მღებრიშვილი. თუმცა არსებობს ისეთი წყაროებიც, სადაც ისინი გვარით არიან მოხსენიებულნი. აი ზოგიერთი მათგანი: Georgian Journal, 2018; Listen Notes, 2025; علي بك الكبير. (Mgebrishvili); სულორი, 2018; Альфапедия, б.д.; Dgebuadze, 2020; Torel TV, 2018; qebedo, 2019; Али-Бей, 2019; Мировалев, 2018; Юнионпедия, б.д.;
https://www.youtube.com/watch?v=kmGxIXPUeaU
https://360wiki.ru/wiki/Ali_Bey_al-Kabir
https://wiki5.ru/wiki/Ali_Bey_al-Kabir
https://clever-geek.imtqy.com/articles/2097983/index.html
https://de2.wiki/wiki/Ali_Bey_al-Kabir
https://france2.wiki/wiki/Ali_Bey_al-Kabir
https://he2.wiki/wiki/Ali_Bey_al-Kabir

[7] **იბრაჰიმ ქათხუდა ალ-კაზდაღლი.** იანიჩართა კორპუსის ხელმძღვანელი. ფლობდა უდიდეს ძალაუფლებას. განაგებდა ეგვიპტეს 1749-1754 წლებში. მას ახასიათებდნენ, როგორც მოწყალე, მოხერხებულ, დიდსულოვან, გულუხვ, მამაც, შორსმჭვრეტელ და იმავდროულად მომთმენ და სასტიკ მბრძანებელს. სწორედ იგი გახლდათ ის ადამიანი, ვინც დიდებისკენ გზა გაუხსნა ალი ბეგს.

[8] სახლის/პროვინციის უფროსი (ზედამხედველი/გამგებელი).

აღიარეს მისი პირველობა, მაგრამ მის გზაზე აღმოჩნდა კაზდაღლის ჯგუფის გავლენიანი მეთაური აბდ არ-რაჰმან ქათხუდა. 1765 წელს ალი ბეგმა შეძლო თავიდან მოეშორებინა მეტოქე, როცა აიძულა იგი ქვეყნიდან წასულიყო, მაგრამ მოწინააღმდეგეთა გააქტიურების გამო თვითონაც იძულებული შეიქმნა გაქცეულიყო პალესტინაში, სადაც ერთხანს ღაზას აფარებდა თავს. 1766 წელს ის დაბრუნდა კაიროში და განაგრძო ბრძოლა, რომელიც მისი გამარჯვებით დამთავრდა 1768 წელს. ახლა ალი ბეგი სრულუფლებიანი შეიხ ალ-ბალადი და ქვეყნის ბატონ-პატრონი გახდა, რაც არ აწყობდა სულთანს, მაგრამ მის ცდას, თავიდან მოეშორებინა მეტისმეტად გაძლიერებული მამლუქი, შედეგი არ მოჰყოლია. 1769 წელს, როცა მამლუქებმა ჩამოაგდეს ოსმალთა ახლად დანიშნული ვალი, გადასახადის გაგზავნა შეუწყვიტეს სტამბოლს და მოჭრეს მონეტა, რომელზედაც სულთნის სახელთან ერთად შეიხ ალ - ბალადის სახელიც იყო ამოტვიფრული, იმპერიისგან ეგვიპტის ჩამოცილება ფაქტი გახდა“ (ტიკაძე, 2012, გვ. 27).

„The Egyptian mamluk officer Ali Bey al-Kabir (r. 1760-73) made Egypt virtually independent from Istanbul, hiring Westerners as military advisors“ (Clarence-Smith, 2006).

ამგვარად, ალი ბეგ ალ-ქაბირის სახელს უკავშირდება დამოუკიდებელი ეგვიპტის ახალი ისტორია. მოწინააღმდეგეთა ჩამოშორების შემდეგ შეწყვიტა ოსმალეთთან ვასალური დამოკიდებულება, ქაიროდან გააძევა ოსმალო ფაშა, გაატარა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები, საკუთარი სახელით მოჭრა მონეტა, აწარმოებდა დამოუკიდებელ მონეტარულ პლიტიკას. ალი ბეგის მმართველობის პერიოდში დაიხვეწა და გამკაცრდა ცენტრალიზებული მართვის მექანიზმები.

მის დაქვემდებარებაში მყოფი რამდენიმე ათასი მამლუქის გარდა, საბრძოლო ოპერაციების დროს ალი ბეგი იყენებდა თანამებრძოლი ბეგების, ბედუინებისა და სხვა დაქირავებული რაზმების შესაძლებლობებსაც. პროფ. გოჩა ჯაფარიძის მიხედვით: „1769 წ. ალიბეგმა დაიმორჩილა ზემო ეგვიპტის ბედუინთა შაიხები და უზრუნველყო ხორბლის და სურსათ-სანოვაგის უსაფრთხო მიწოდება დედაქალაქისა და ქვემო ეგვიპტისათვის. 1770 წ. ოსმალეთის სულთანის თხოვნით, ის ჩაერია ჰიჯაბის საშინაო საქმეებში და მისმა წარგზავნილმა ლაშქარმა საყვარელი მამლუქისა და სიძის მუჰამედ ბეგ აბუ აზ - ზაჰაბის მეთაურობით, მექის შერიფად დასვა სასურველი პირი აბდალაჰი. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ ალის უბოძა ეგვიპტის სულთნისა და ამირ ალ-ბაჰრაინის (ორი ზღვის - მეწამული და ხმელთაშუა ზღვების გამგებლის) ტიტულები. ამიერიდან დაიწყო ალი ბეგის სახელის მოხსენიება ეგვიპტის და ჰიჯაბის მეჩეთებში პარასკევის ხუტბის[9] დროს. ალი ბეგმა მოიპოვა უმაღლესი მუსლიმური სამღვდელოების კეთილგანწყობა. აშენებდა და აახლებდა მეჩეთებს, მინარეთებს, მედრესეებსა და მავზოლეუმებს“ (ჯაფარიძე, 2016, გვ. 185).

საერთაშორისო ვაჭრობაზე კონტროლის აღების შემდეგ (Смирнов, 2009, стр. 145), ხელი მიჰყო ადმინისტრაციული აპარატის განახლებას, სადაც ებრაული თემის წარმომადგენელთა პოზიციებზე უპირატესობა ენიჭებოდათ ქრისტიანებს (მათ შორის კოფტებს) და ა.შ.

დანიელ ქრისელიუსი, თავის ნაშრომში - „თანამედროვე ეგვიპტის ფესვები: ალი ბეი ალ-ქაბირის და მუჰამმად ბეი აბუ აზ-ზაჰაბის, 1760-1775 რეჟიმების კვლევა“ მიუთითებს: „A state began to emerge in eighteenth-century Egypt, despite a certain amount of political instability. His focus was on the Qazdaghli amirs, Ali Bey and Muhhamad Bey, who, he argues, were able to establish control over military, financial and bureaucratic institutions. Crecelius's work argued that foreign policy and contact with Europe prior to the French occupation minimized the impact that the French occupation had on Egypt's progression into modernity“ (Crecelius, 1981).

ალი ბეგის ღვაწლის სათანადო შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით არაბ მეცნიერებას.

[9] პარასკევის ლოცვა/ქადაგება ისლამში.

„Арабские ученые внесли большой вклад в изуение источников по истории Египта в Османский период. Благодаря их кропотливой работе научному сообшеству стали доступны ранее неизвестные манускрирты“ (Илюшина, 2009, стр. 81).

ალი ბეგის ღვაწლის შესწავლის საქმეში უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოვერ ლუზინიანმა (Lusignan, 1783). მისი ნაშრომი ლონდონში გამოიცა 1783 წელს. ნაშრომმა თავის დროზე დიდი ინტერესი გამოიწვია მკვლევართა შორის და საგულისხმო იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ ავტორი პირადად იცნობდა თავისი ნაშრომის მთავარ გმირს, მოტანილ ცნობათა დიდი ნაწილი უშუალოდ მისგან ჰქონდა მოპოვებული და ამდენად, ეს მასალა უნიკალური გახლდათ.

რუსეთ-ოსმალეთის ომის[10] დროს, რომელიც ალი ბეგის მოღვაწეობის პერიოდს დაემთხვა, იგი ცდილობს შექმნილი ვითარების თავის სასარგებლოდ გამოყენებას. წამოიწყებს საომარ კამპანიას სირიაში და ემზადება ოსმალეთის უღლის საბოლოოდ მოსაშორებლად.

„Во время русско-турецкой войны 1768-1774 гг. в Египте, который был провинцией Османской империи, началась война за независимость под руководством Али-бея Аль-Кабира (1728-1773)“ (Храпунов & Гинькут, 2015, стр. 407).

ალი ბეგი მთელი არსებით აღუდგა წინ ოსმალეთის იმპერიას და დამოუკიდებელი ეგვიპტის მამლუქთა იმპერიის პირველი ფურცლებიც დაიწერა. ეს დიდი ხნის ოცნების ასრულება გახლდათ. ოცნების, რომელიც ჯერ კიდევ სელიმ პირველის ოსმალეთში იღებდა სათავეს.

„После того как в 1517 г. Мамлюки потерпели поражение от армии Селима I и Египет вошел в состав Османской империи, традиционная идеология и система организации мамлюкской эдиты была адаптирована к изменившимся условиям. „Османизация“ позволила мамлюкам выжить, восстановить силы, консолидироваться и нанести ошутимый удар по устоям османской государственности, предложив собственный альтернативный проект управления Египтом в форме бейликата. Кулминацией продвижения мамлюков к обладанию всей полнотой власти в Египте стала предпринятая в середине XVIII в. Али беем Аль-

---

[10] **რუსეთ-ოსმალეთის ომი (1768-1774)** - 1768 წლის 25 სექტემბერს ოსმალეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა. 1769 წლის იანვარში ყირიმის ხანი, ყირიმ გირეი 80-ათასიანი ჯარით შეიჭრა უკრაინაში. რუსეთის მეორე არმიამ უკუაქცია ყირიმელი თათრები და აზოვის ზღვის სანაპირო დაიკავა. აპრილსა და ივნისში რუსეთის პირველმა არმიამ ორჯერ მიიტანა იერიში ხოტინზე, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ ვერც ოსმალებმა შეძლეს ხოტინის მომარაგება და სექტემბერში დატოვეს იგი. 1770 წლის 24-26 ივნისს ეგეოსის ზღვაზე ჩესმენის ყურეში, რუსეთის ესკადრამ გაანადგურა ოსმალთა ფლოტი. რუმიანცევის არმიამ მდინარე ლარგსა და მდინარე კაგულზე გამარჯვებები მოიპოვა. შემდეგ ბენდერის, იზმაილის, კილიასა და აკერმანის ციხე-სიმაგრეები აიღო. 1771 წელს მეორე არმიამ ვ. დოლგორუკის ხელმძღვანელობით პერეკოპი დაიკავა და ყირიმში შევიდა. რუსეთის ჯარის წარმატებამ აიძულა ოსმალები მშვიდობიანი მოლაპარაკება დაეწყოთ. 1772 წლის 1 ნოემბერს რუსეთმა ყირიმის ხან საჰიბ II გირეისთან ხელშეკრულება დადო. ყირიმი ოსმალეთისაგან დამოუკიდებელ და რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფ სახანოდ გამოცხადდა. 1774 წლის 6 ივნისს მთავარმა ძალებმა დუნაი გადალახეს. სუვორვის 18-ათასიანმა კორპუსმა კოზლუჯასთან 40-ათასიანი ოსმალთა ლაშქარი გაანადგურა. ი. სალტიკოვის რაზმმა კი ტურტუკაისთან გაიმარჯვა. ამ პირობებში ოსმალები ზავის დადებაზე დათანხმდნენ, 1774 წლის 10 ივლისს ქუჩუკ-კაინარჯში ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას. რუსეთმა მიიღო დნეპრისა და სამხრეთის ბუგს შორის მდებარე ტერიტორია და კინბურნის, ქერჩისა და ენიკალეს სიმაგრეები. რუსეთის ფლოტმა შავ ზღვაში თავისუფალი ნაოსნობის უფლება მოიპოვა. ხელშეკრულების 23-ე მუხლით რუსეთის მთავრობა დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის უფლებას ცნობდა იმ პირობით, რომ ოსმალეთი უარს ამბობდა იმერეთის ხარკზე.

Кабиром попытка создать централизованное суверенное мамлюкское государство и возродить могущественную империю мамлюков“ (Илюшина, 2009, стр. 76).

ალი ბეგის მიერ რუსეთ-ოსმალეთის ომის საკუთრი მიზნებისთვის გამოყენების სურვილზე მიუთითებდა გ. ჯაფარიძეც (ჯაფარიძე, 2016, გვ. 185).

მიუხედავად ბობოქარი ცხოვრებისეული პერიპეტიების, ბრძოლების, დიდებული გამარჯვებების და დიდების მწვერვალების დალაშქვრისა, ალი ბეგს არასდროს გაუწყვეტია ქვეცნობიერი კავშირი საქართველოსთან. ეს კავშირი სხვადასხვა დროს ვლინდებოდა მშობლებთან, ახლობლებთან და გარემოცვასთან კომუნიკაციით, დამოკიდებულებით, ქცევით.

პროფ. გ. სოსიაშვილი წერდა, რომ ,,XVIII საუკუნის II ნახევარში ეგვიპტის მმართველ ელიტაში განსაკუთრებით გაძლიერდნენ ქართველი მამლუქები. ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნის მართვის სადავეები წარმოშობით ქართველმა ალი ბეგმა ჩაიგდო, რომელიც 1768 წელს შეიხ ალ-ბალადი და ეგვიპტის მბრძანებელი გახდა“ (სოსიაშვილი, 2023, გვ. 219). ალი ბეგს არც ამ დროს და არც ოსმალეთის უღლის გადაგდების შემდეგ არ დავიწყებია სამშობლო. არსებობს არაერთი ცნობა იმის შსახებ, რომ მრავალი განსაცდელის მიუხედავად უცხოეთში გადახვეწილი ქართველი მეომრები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ საქართველოსთან კავშირების მოსაძებნად, ოჯახის წევრების საპოვნელად და მათთან კომუნიკაციის შესანარჩუნებლად.[11]

ცხადია, ასეთი მცდელობები არც ალი ბეგისთვის იქნებოდა უცხო. ის არ ივიწყებდა არც სამშობლოს, არც მშობლებს, არც ახლობლებს, უფრო მეტიც, მისი თხოვნით, მბრძანებლის ერთგულმა მამლუქმა ალი ბეგ ატ-ტანტავიმ[12] ეგვიპტეში ჩაიყვანა ალი ბეგის მამა.

ეგვიპტეში მოგზაურობისას მღვდელ დავით მღებრიშვილს თან ახლდა ქალიშვილი იაგუნდი და შვილიშვილი რიდვანი[13] (მეორე ქალიშვილისგან). მამის სამშობლოში გამოსტუმრების შემდეგ, 1766 წელს ალი ბეგმა საკუთარი და, იაგუნდი მიათხოვა მასთან უაღრესად დაახლოებულ და ასევე ქართული წარმოშობის მამლუქს მუჰამმად ბეგ აბუ აზ-ზაჰაბს. სამწუხაროდ, ახლო მომავალში, ალი ბეგის მიერ გამოჩენილი ასეთი ნდობა და სიყვარული მის მიერ გამორჩეული ქართველი მამლუქის მიმართ საბედისწერო აღმოჩნდება.

მის წარმომავლობაზე და ეთნიკურ სიმპათიებზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ შაიხ ალ-ბალადის და ეგვიპტის მბრძანებლის ტახტის დაკავების შემდეგ, მის გარემოცვაში თავს იყრიან არა აფხაზური ან სხვა წარმომავლობის, არამედ ქართველი მამლუქები. მაგალითად, მის ირგვლივ მოტრიალე თექვსმეტი ბეგიდან ცხრა ქართველია. ქართველია იანიჩართა აღა[14], იანიჩართა ქათხუდაც[15] და მსახურთა ნახევარიც.

როგორც ცნობილია, არაერთი წყარო ადასტურებს, რომ ბრძოლა ოსმალთა უღლის გადასაგდებად დაიწყო სახელოვანი ქართველის ალი ბეგის აჯანყებით (რურუა, 1986, გვ.

---

[11] მსგავსი ფაქტების შესახებ დეტალურად იხ. ჯაფარიძე, 2016; სოსიაშვილი, 2023; სოსიაშვილი, 2020; კილასონია, 2006.

[12] **ალი ბეგ ატ-ტანტავი** - წარმოშობით ქართველი. ალი ბეგის ერთგული მამლუქი. სიმამაცით ცნობილი სახელგანთქმული მხედარი. დაიღუპა 1773 წელს სალიჰიას ბრძოლაში (იქ, სადაც ალი ბეგი დაიჭრა სასიკვდილოდ).

[13] **რიდვან ბეგი** - ალი ბეგის დის შვილი, რომელიც 1767 წელს 16 წლისა ჩამოჰყვა ეგვიპტეში პაპას - მღვდელ დავითს და დეიდას. 1768 წელს ბეილიქათში აღაზევა ალი ბეგმა. გარდაიცვალა 1791 წელს შავი ჭირის ეპიდემიის დროს.

[14] **იანიჩართა აღა** - ოსმალეთის იმპერიის რეგულარული ქვეითი ჯარის (XIV-XIX სს.) ხელმძღვანელი, მთავარსარდალი.

[15] **იანიჩართა ქათხუდა** - სარდლის მოადგილე. რანგით მეორე პირი, თუმცა ფაქტობრივად კორპუსის ხელმძღვანელი.

362). მისი დაწყებული საქმე კი განაგრძეს ასევე ქართული წარმოშობის იბრაჰიმ ბეიმ[16] (მარტყოფიდან) და მურად ბეიმ[17] (თბილისიდან) (სონღულაშვილი, 2005, გვ. 12).

1768-1774 წლებში მიმდინარე რუსეთ-ოსმალეთის ომის პერიოდში ალი ბეგმა სცადა შექმნილი ვითარების სათავისოდ გამოყენება. მისი პოლიტიკის მთავარი ვექტორები რუსეთთან კავშირის დამყარების გზით ოსმალეთისთვის საბოლოო დარტყმის მიყენებას გულისხმობდა. „რუსეთთან თანამშრომლობის პერსპექტივები უფრო რეალურად გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც მისმა ფლოტმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა, ოსმალეთის ფლოტს ეგეოსის ზღვაში (ჩესმეს ყურეში) 1770 წლის 7 ივლისს. ამგვარად, საკუთარ ძალებში დარწმუნებულმა, მოკავშირეთა დახმარების იმედით და სირია-ეგვიპტის გაერთიანების სურვილით შეპყრობილმა შეიხ ალ-ბალადმა დაიწყო საომარი კამპანია, რომელიც მისთვის დამღუპველი გამოდგა“ (ტიკაძე, 2012, გვ. 28).

მას უღალატა მის მიერვე აღზევებულმა მამლუქმა, სიძემ, თავისი დის ქმარმა - მუჰამმად ბეგ აბუ აზ-ზაჰაბმა, რომელმაც გადამწყვეტი ბრძოლისთვის სხვა ბეგებთან ერთად გადაიბირა იბრაჰიმ და მურად ბეგები.

ეს მომვლენები შემდეგნაირად განვითარდა: ეგვიპტისთვის ისტორიულად ყოველთვის დიდი მნიშვნელობის მოვლენა გახლდათ სირიაზე კონტროლის აღება. სწორედ ამ მიზნით, ალი ბეგის დავალებით, 1771 წელს მუჰამმად აბუ აზ-ზაჰაბის სარდლობით მამლუქთა რაზმები შევიდნენ სირიაში და დაიკავეს დამასკო. ამის შემდგომ, ყველასათვის მოულოდნელად, აზ-ზაჰაბმა დატოვა ყველა პოზიცია ქალაქში, დატოვა სირიის ტერიტორია და დაბრუნდა ქაიროში. ეს მოქმედება, ცხადია, ურთულესი ასახსნელი და გაუგებარი იქნებოდა ალი ბეგისათვის. ჩნდება ბზარი და მწვავდება დაპირისპირება აზ-ზაჰაბსა და ეგვიპტის მბრძანებელს შორის.

ნავარაუდევია, რომ აზ-ზაჰაბის ამ გადაწყვეტილების უკან იდგა ოსმალეთის ხელისუფლება. ბუნებრივია, იგი გრძნობდა სტამბოლიდან მომავალ საფრთხეს, ითვალისწინებდა, რომ დამასკოს დაკავება არ ნიშნავდა სირიაზე სრული კონტროლის დაწესებას. გარდა ამისა, მამლუქთა გარკვეულ ნაწილებს შორის მისი მაღალი რეპუტაცია საკუთარი თავის შაიხ ალ-ბალადის თანასწორად და მეტოქედ წარმოდგენაში უწყობდა ხელს. ეს დამოკიდებულებები კარგად იყო ცნობილი ოსმალეთის ხელისუფლებისთვის და მოხერხებულადაც იქნა გამოყენებული ალი ბეგის წინააღმდეგ.

ყოველივე ამას ერთვოდა მოსახლეობის გაღიზიანება, რასაც იწვევდა ალი ბეგის კავშირები ქრისტიანულ რუსეთთან და მათი მხარდაჭერით ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლა.

ამ გარემოებათა, გათვალისწინებით, 1772 წელს შაიხ ალ-ბალადი იძულებული ხდება დროებით გაემგზავროს პალესტინაში. ძველ მეგობართან და მოკავშირესთან შეიხ ზაჰირ ალ-უმართან[18] სტუმრობისას ალი ბეგი კვლავ ეძებს მოკავშირეებს (მათ შორის რუსეთთან, გრაფ ა. ორლოვთან[19]) და ცდილობს შექმნილი ვითარების გამოსწორებას. რუსული მაღალჩინოსნებისაგან მიღებული მხარდაჭერის პირობით წახალისებულმა და ქაიროდან მოსახლეობისა და ბეგების სრული მხარდაჭერის შესახებ არაზუსტი ინფორმაციით აღჭურვილმა ალი ბეგმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა. 1773 წლის აპრილის ბოლოს და

[16] **იბრაჰიმ ბეგი** (შინჯიკაშვილი) - მარტყოფელი მღვდლის ვაჟი. ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა XVIII საუკუნის ბოლო ათწლეულების ეგვიპტის ისტორიაში. ალი ბეგ ალ-ქაბირის ყოფილი მამლუქი. 1775-1798 წლებში გარკვეული შუალედებით განაგებდა ეგვიპტეს.

[17] **მურად ბეგი** (თბილისიდან) - თბილისიდან სტამბულში გატაცებული ახალგაზრდა, რომელიც საბოლოოდ ქაიროში აღმოჩნდა. ალი ბეგ ალ-ქაბირის ყოფილი მამლუქი. 1775-1798 წლებში გარკვეული შუალედებით განაგებდა ეგვიპტეს.

[18] შეიხ ზაჰირ ალ-უმარი - ჩრდილო-დასავლეთ პალესტინის მმართველი (1686-1775). აქქას გამგებელი XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში.

[19] გრაფი ა. ორლოვი - რუსეთის ესკადრის ხელმძღვანელი ხმელთაშუა ზღვაში.

მაისის დამდეგისთვის ნაჩქარევად გადაწყვიტა ეგვიპტეში დაბრუნება. ნილოსის დელტის აღმოსავლეთით, ას-სალიჰიასთან გამართულ ბრძოლაში თავისი მცირერიცხოვანი რაზმით დამარცხდა მუჰამმად ბეგ აბუ აზ-ზაჰაბთან, თვითონ კი მძიმედ დაიჭრა. დაჭრილი შაიხ ალ-ბალადი გადაიყვანეს ქაიროში, საკუთარ სახლში. სამწუხაროდ, მიყენებული ჭრილობები სიცოცხლესთან შეუთავსებელი აღმოჩნდა და რამდენიმე დღეში იქვე გარდაიცვალა. ალი ბეგ ალ-ქაბირი დიდი პატივით დაკრძალეს ქაიროში მცირე კარაფას სასაფლაოზე, თავისივე გამზრდელის იბრაჰიმ ქათხუდას გვერდით.

დასკვნა. ამრიგად, ეგვიპტის ისტორიის ყველა მკვლევარი მიუთითებს ალი ბეგის მმართველობის პერიოდში გატარებული რეფორმების უდიდეს მნიშვნელობაზე. მისი პოლიტიკის შედეგად გამოწვეულ პოზიტიურ ცვლილებებზე. ვგულისხმობთ პოლიტიკური, ადმინისტრაციული და საფინანსო სისტემების წესრიგში მოყვანის მცდელობებს, აღმშენებლობითი და კულტურული საქმიანობის ხელშეწყობას და სხვა. თუმცა გზა - სამართლიანობის აღსრულებისთვის ყოველთვის ვერ იქნებოდა იოლი. საჭირო იყო უამრავი დაბრკოლების გადალახვა და მათ შორის არც თუ იშვიათად რთული გადაწყვეტილებების მიღებაც.

,,ალი ბეგი ეგვიპტეში დამკვიდრებული პოლიტიკური სისტემის შვილი იყო და ბუნებრივია, მისთვის უცხო არ ყოფილა ეპოქისთვის დამახასიათებელი სისასტიკე, რომელსაც იჩენდა მეტოქეებისა და მემაბოხე ბედუინების მიმართ. შეიხ ალ-ბალადის არც აღზევებასა და არც დამხობაში ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს მონაწილეობა არ მიუღია. ძალაუფლებისთვის ბრძოლაში, ისევე, როგორც ჰიჯაბისა და სირიის სამხედრო კამპანიის დროს ალი ბეგი ეყრდნობოდა თავის მამლუქებს და არა ეგვიპტელებისგან შედგენილ დაქირავებულ რაზმებს. ეგვიპტეში, ისევე როგორც სხვა ეიალეთებში, სეპარატისტული და სოციალური ხასიათის გამოსვლები მეორდებოდა პერიოდულად და ალი ბეგის გამგებლობის წლებიც ამ მხრივ არ ყოფილა გამონაკლისი.“ (ტიკაძე, 2012, გვ. 30)

საკუთარი ძლიერების ზენიტში მყოფი ,,ქარიშხლის დამაოკებლისა“ და ,,ორი ზღვის ყაენის“ ალი ბეგ ალ-ქაბირის დამარცხების წინაპირობად მისივე გაზრდილი ქრთველის, მისივე აღზევებული მამლუქისა და სიძის - მუჰამმად ბეგის ღალატი გადაიქცა. ეს ფაქტი არაერთ წყაროში დაფიქსირდა, მათ შორის არაქართულშიც.

„Видимо, немало могли поспособствовать как успехи русского флота, незадолго до таго взявшего штурмом Бейрут, так и неопределенность положения самого Али-бея, преданного своими ближайшими соратниками отчаянно питавшегося вернут себе власть в Египте“ (Кобишанов, 2008, стр. 55).

ალი ბეგის გარდაცვალების შემდეგ, იმავე 1773 წლის სექტემბერში, სულთნის ბრძანებით, ეგვიპტის შეიხ ალ-ბალადის თანამდებობა დაიკავა მუჰამმად ბეგ აბუ აზ-ზაჰაბმა, თუმცა ეს მმართველობა ხანგრძლივი არ ყოფილა. 1775 წელს იგი გარდაიცვალა პალესტინაში ზაჰირ ალ-უმარის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის წარმოებისას.

ალი ბეგ ალ-ქაბირის საბოლოო განსასვენებელი ქაიროს ერთ-ერთ დიდ და ძველ უბანში, სალაჰ ად-დინის ციტადელთან, მუკატტამის გორაკების ძირში იმამ ალ-ლაისის პატარა ქუჩაზე მდებარეობს. ქალაქის ამ ნაწილს „კარაფა“ ანუ „მიცვალებულთა ქალაქი“ ეწოდება. სასაფლაოს დიდ ნაწილს ქვის კედლები და ჭიშკარი აკრავს და გასაღებსაც მცველი დარაჯობს. სწორედ აქ, ერთ-ერთ ასეთ ნაგებობაში განისვენებს სამი ქართველი მამლუქი: ალი ბეგ ალ-ქაბირი, მისი გამზრდელი, პატრონი და მფარველი - იბრაჰიმ ქათხუდა და მისივე ოჯახის წევრი და სიძე - ისმაილ ბეგი[20]. ამ ადგილს ორიოდე ნაბიჯით

[20] **ისმაილ ბეგი** - წარმოშობით ქართველი. იბრაჰიმ ქათხუდას მამლუქი. თამაშობდა მნიშვნელოვან როლს ეგვიპტის პოლიტიკურ ცხოვრებაში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ალი ბეგმა აღავლინა სანჯაკ-ბეგის რანგში და დააქორწინა იბრაჰიმ ქათხუდას ასულ - ჰანიმეზე. ის ხელმძღვანელობდა

აშორებს პატარა მავზოლეუმი - ალი ბეგის ულამაზესი მეუღლის „თეთრ განძად“ და „მამლუქთა დედად“ წოდებული ნაფისა ხანუმის განსასვენებელი.[21]

ქუჩის დასწყისში ერთი უბრალო ხის ჭიშკარი ყოფს ამ სამ ბუმბერაზ ქართველს ცოცხალთა სამყაროდან. ეს არის „ორი ზღვის ყაენის“, „ეგვიპტის სულთნის“, „ქარბუქთა დამაოკებლისა“ და ეგვიპტის მამლუქთა შეიხ ალ-ბალადის ალი ბეგ ალ-ქაბირის ბობოქარი ცხოვრების გზის დასასრული. ტყვედ გაყიდული და დიდების მწვერვალებამდე ასული ქართველისა, რომლის შესახებ უკვე მე-19 საუკუნის შუა წლების ტექსტებში და სამხედრო ლექსიკონებში წერდნენ: „Али Бей, мамелюкъ, обладавшій Египтомъ въ последнеій половине XVIII столетія“ (Военный Энциклопедическій Лексикон, 1852, стр. 20).

მისი ბიოგრაფის ს. ლუზინიანის აღწერით, „ის იყო სიმაღლით ხუთი ფუტი და ათი დუიმი (1, 78 მ.), თეთრი სახის, ღია წაბლისფერთმიანი, ოვალური სახის, ფართოთვალებიანი, დიდებული გარეგნობის, უზომოდ მამაცი, ხასიათით თავაზიანი, ძალზე სამართლიანი და უაღრესად მკაცრი დამნაშავეთა დასჯის დროს“ (ჯაფარიძე, 2016, გვ. 186).

ასეთი იყო 45 წლის ასაკში დაღუპული ეგვიპტის მბრძანებელი, საქართველოდან გატაცებული და ტყვედ გაყიდული იოსებ დავითის ძე მღებრიშვილი.

გამოყენებული ლიტერატურა

გამახარია, ჯ. (2005). *აფხაზეთი და მართლმადიდებლობა.* თბილისი.

ვირტუალური მუზეუმი - „სამხრეთ კავკასიის ისტორიული ძეგლები“. ვებგვერდი: http://maps.nekeri.net

თოფურია, თ. (2017 წლის 3 მარტი). *ქართველი მამლუქების საფლავები კაიროში.* მიძიებულია ვებგვერდიდან: https://www.radiotavisupleba.ge/a/ qartveli-mamluqebis-saflavebi-kairoshi/28345588.html

კილასონია, ა. (2006). *ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-კავკასიაში XVI-XIX საუკუნეებში.* თბილისი.

ლორთქიფანიძე, ი. (2022). აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი გრიგოლ II (ლორთქიფანიძე). *ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწდეული.* #XIV.

ნატროშვილი, თ. (1991). *მაშრიყით მაღრიბამდე.* თბილისი.

ჟორდანია, თ. (1913). ბიჭვინთის სიგელ-გუჯრები. *განთიადი.* #1.

რურუა, ი. (1986). *დიდი რეგატა.* თბილისი.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ვებგვერდი: https://www.matsne.gov.ge/

სონღულაშვილი, ა. (2005). *ირანში ქართველთა ნაკვალევზე.* თბილისი.

ალი ბეგის არმიას პალესტინაში, მაგრამ მოგვიანებით განუდგა მას და გადავიდა მუჰამმად აბუ აზ-ზაჰაბის მხარეზე. მისი სიკვდილის შემდეგ დაუპირისპირდა იბრაჰიმ ბეგისა და მურად ბეგის დუუმვირატს, განდევნა ზემო ეგვიპტეში და გახდა შაიხ ალ-ბალადი. 1778 წელს ხელისუფლებაში დაბრუნდნენ ზემო ეგვიპტეში დევნილი ბეგები და ისმაილი გააძევეს ქაიროდან. ისმაილ ბეგი მეორედ შაიხ ალ-ბალადი გახდა, როდესაც ოსმალეთის ფლოტის ადმირალმა ღაზი ჰასან კაპუდან ფაშამ დალაშქრა ეგვიპტე და იბრაჰიმ და მურად ბეგები გააძევა ზემო ეგვიპტეში. შემდგომში ისმაილ ბეგი ცხოვრობდა ქაიროში ვიდრე გარდაიცვლებოდა 1791 წელს შავი ჭირის ეპიდემიის დროს (ჯაფარიძე, 2016, გვ. 189).

[21] **ნაფისა** - წარმოშობით ქართველი. გადმოცემით ის ულამაზესი ქალი ყოფილა, რომელიც მონათა ბაზარზე ალი ბეგს უყიდია, გაუთავისუფლებია და ცოლად შეურთავს. განსაცვიფრებელი გარეგნობის გამო „ბაიდა ნაფისას“ ანუ „თეთრ განძს უწოდებდნენ, ხოლო იმ სითბოსი და სიყვარულის გამო, რასაც იგი იჩენდა მამლუქთა მიმართ „უმალ მამალიქი“, იგივე „მამლუქთა დედა“ შეარქვეს.

სოსიაშვილი, გ. (2023). XVIII საუკუნის ერთი დოკუმენტი ეგვიპტეში ტყვედ გაყიდული ქართველის შესახებ. *ქართველური მემკვიდრეობა.* # XXVII.

სოსიაშვილი, გ. (2020). ბრიტანელი მოგზაურების: ჩარლზ ლეონარდ ირბის და ჯეიმს მანგელსის ცნობები თურქეთში ტყვედ გაყიდული ქართველების შესახებ (XIX საუკუნის I მეოთხედი). *ახალ და უახლეს პერიოდში ქართულ-თურქული ურთიერთობები.* ტრაპიზონი.

სულორი, ვ. (2018). *„ქარბუქთა დამაოკებელი“ და ოსმალთა რისხვა – ამბავი ქართველი მამლუქი იოსებ მღებრიშვილისა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://sputnik-georgia.com/20180604/Mamluk-Ali-Bey-al-Kabir-ioseb-mgebrishvili-240740942.html

ტიკაძე, მ. (2012). *არაბული ქვეყნები ოსმალთა ბატონობის პერიოდში (XVI-XIX ს. დამდეგი).* თბილისი.

ტყეშელაშვილი, ლ. (2007). *გელათი მეორე იერუსალიმი სხვა ათინა.* ქუთაისი.

ქორიძე, თ. (2021). აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლ II (ლორთქიფანიძე). *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ენციკლოპედია.* ტ. 2. თბილისი.

ჩხარტიშვილი, ქ. (1973). დასავლეთ საქართველო XVIII ს. პირველ ნახევარში. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* ტ. 4. თბილისი.

ჯაფარიძე, გ. (2016). *საქართველო და ეგვიპტის მამლუქები.* თბილისი.

ჯაფარიძე, გ. (2005). ქართველი მამლუქები ეგვიპტეში. *ჩემი სამყარო.* #8.

Torel TV. (2018). *„ქარბუქთა დამაოკებელი“ და ოსმალთა რისხვა – ამბავი ქართველი მამლუქი იოსებ მღებრიშვილისა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://toreltv.wordpress.com/2018/06/05/ქარბუქთა-დამაოკებელი-დ/

Али-Бей. (2019). Получено из https://uchebanafive.blogspot.com/2019/11/blog-post_13621.html

Альфапедия. (б.д.). *Али Бей аль-Кабир.* Получено из https://alphapedia.ru/w/Ali_Bey_al-Kabir

Военный Энциклопедическій Лексикон (издаваемый обществомъ военныхъ и литераторовъ). (1852). Том I, С. Петербургъ.

Илюшина, М. Ю. (2009). Писменные источники по изучению мамлюкского феномена в Египте в Османский период (XVI-XVIII вв.). *вестник СПБГУ.* сер. 13, вип. 1.

История Востока. (2000). В шести томах. III. Москва.

Кобишанов, Т. Ю. (2008). Русские мамлюки в Османском Египте. *Вестник Московского университета.* сер. 13, Востоковедение, №2.

Мировалев, М. (2018). *Рабы на троне фараонов.* Получено из https://fergana.agency/articles/103092/

Смирнов, В. (2009). *Роль военной организации в формировании и развитии социально-политической структуры Османского Египта (XVI-XVIII вв.).* Москва.

Чапичадзе, З. (2016). *История Грузии.* Тбилиси.

Храпунов, Н. И., & Гинькут, Н. В. (2015). Крым в 1784 г. по свидетельству французского путешественника барона де Бара. *Материалы по археологии, истории и этнографии Таврии.* вип. XX. Симферополь.

Юнионпедия. (б.д.). *Али-бей аль-Кабир.* Получено из https://ru.unionpedia.org/Али-бей_аль-Кабир

qebedo. (2019). *Над чем посмеялся Сфинкс – 3.* Получено из https://qebedo.livejournal.com/1709471.html

Clarence-Smith, W. G. (2006) *Technological and scientific change in early modern Islam.* c. 1450-c.1850. IEHC Helsinki, 21-25 August, session 121.

Crecelius, D. (1981). *The roots of Modern Egypt: A study of the Regimes of 'Ali Bey al-Kabir and Muhhamad Bey Abu al-Dhahab, 1760-1775.* Minneapolis: Bibliotheca Islamica.

Dgebuadze, L. (2020). *Кто такие «Мамлюки»?* Получено из https://vk.com/@qartuli_moambe-kto-takie-mamluki

Georgian Journal. (25 Jul, 2018). Graves of Georgian Mamelukes in Cairo Egypt. Retrieved from https://www.georgianjournal.ge/culture/34780-graves-of-georgian-mamelukes-in-cairo-egypt.html

Kressel, G. M., & Aharoni, R. (2018). *Egyptian Emigres in the Levant of the 19th and 20th Centuries*. Jerusalem Center for Public Affairs.

Listen Notes. (2025). *Ali Bey.* Retrieved from https://amp.listennotes.com/ms/top-podcasts/ali-bey/amp/

Lusignan, S. K. (1783). *A Hystory of the Revolt of Aly Bey against the Ottoman Porte*. London.

علي بك الكبير. (Mgebrishvili). Retrieved from https://www.marefa.org/علي_بك_الكبير

https://www.youtube.com/watch?v=kmGxIXPUeaU

https://360wiki.ru/wiki/Ali_Bey_al-Kabir

https://wiki5.ru/wiki/Ali_Bey_al-Kabir

https://clever-geek.imtqy.com/articles/2097983/index.html

https://de2.wiki/wiki/Ali_Bey_al-Kabir

https://france2.wiki/wiki/Ali_Bey_al-Kabir

https://he2.wiki/wiki/Ali_Bey_al-Kabir

REFERENCES

gamakharia, j. (2005). *apkhazeti da martlmadidebloba [Abkhazia and Orthodoxy]*. Tbilisi.

virt'ualuri muzeumi - „samkhret k'avk'asiis ist'oriuli dzeglebi“ [Virtual Museum - "Historical Monuments of the South Caucasus]. Website: http://maps.nekeri.net

topuria, t. (March 3, 2017). *kartveli mamlukebis saplavebi k'airoshi [Graves of Georgian Mamluks in Cairo]*. Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/ qartveli-mamluqebis-saflavebi-kairoshi/28345588.html

k'ilasonia, a. (2006). *adamianebit vach'roba sakartvelo-k'avk'asiashi XVI-XIX sauk'uneebshi [Human Trafficking in Georgia and the Caucasus in the 16th-19th Centuries]*. Tbilisi.

lortkipanidze, i. (2022). apkhazetis (dasavlet sakartvelos) k'atalik'osi grigol II (lortkipanidze) [Catholicos Grigol II (Lortkipanidze) of Abkhazia (Western Georgia)]. *kutaisis sajaro bibliotek'is ts'elits'deuli [Kutaisi Public Library Yearbook]*. #XIV.

nat'roshvili, t. (1991). *mashriqit maghribamde [From Mashriq to Maghreb]*. Tbilisi.

zhordania, t. (1913). bich'vintis sigel-gujrebi [The Bichvinta Charters]. *gantiadi [Gantiadi]*. #1.

rurua, i. (1986). *didi regat'a [The Great Regatta]*. Tbilisi.

sakartvelos sak'anonmdeblo matsne [Legislative Herald of Georgia]. Website: https://www.matsne.gov.ge/

songhulashvili, a. (2005). *iranshi kartvelta nak'valevze [On the Trail of Georgians in Iran]*. Tbilisi.

sosiashvili, g. (2023). XVIII sauk'unis erti dok'ument'i egvip't'eshi t'qved gaqiduli kartvelis shesakheb [An 18th-Century Document on a Georgian Sold into Slavery in Egypt]. *kartveluri memk'vidreoba [Georgian Heritage]*. # XXVII.

sosiashvili, g. (2020). brit'aneli mogzaurebis: charlz leonard irbis da jeims mangelsis tsnobebi turketshi t'qved gaqiduli kartvelebis shesakheb (XIX sauk'unis I meotkhedi) [British Travelers Charles Leonard Irby and James Mangles on Georgians Sold into Slavery in Turkey (First Quarter of the 19th Century)]. *akhal da uakhles p'eriodshi kartul-turkuli*

urtiertobebi [Georgian-Turkish Relations in the Modern and Contemporary Periods]. Trabzon.

sulori, v. (2018). *„karbukta damaok'ebeli“ da osmalta riskhva – ambavi kartveli mamluki ioseb mghebrishvilisa ["The Tamer of Storms" and the Scourge of the Ottomans – The Story of the Georgian Mamluk Ioseb Mgebirshvili]*. Retrieved from https://sputnik-georgia.com/20180604/Mamluk-Ali-Bey-al-Kabir-ioseb-mgebrishvili-240740942.html

t'ik'adze, m. (2012). *arabuli kveqnebi osmalta bat'onobis p'eriodshi (XVI-XIX s. damdegi) [Arab Countries under Ottoman Rule (16th – Early 19th Century)]*. Tbilisi.

t'qeshelashvili, l. (2007). *gelati meore ierusalimi skhva atina [Gelati – The Second Jerusalem, Another Athens]*. Kutaisi.

koridze, t. (2021). apkhazetis k'atalik'osi grigol II (lortkipanidze) [Catholicos Grigol II (Lortkipanidze) of Abkhazia]. *sakartvelos martlmadidebeli ek'lesia, entsik'lop'edia [Georgian Orthodox Church Encyclopedia]* . Vol. 2. Tbilisi.

chkhart'ishvili, k. (1973). dasavlet sakartvelo XVIII s. p'irvel nakhevarshi [Western Georgia in the First Half of the 18th Century]. *sakartvelos ist'oriis nark'vevebi [Essays on Georgian History]*. Vol. 4. Tbilisi.

japaridze, g. (2016). *sakartvelo da egvip't'is mamlukebi [Georgia and the Mamluks of Egypt]*. Tbilisi.

japaridze, g. (2005). kartveli mamlukebi egvip't'eshi [Georgian Mamluks in Egypt]. *chemi samqaro [My World]*. #8.

Torel TV. (2018). *„karbukta damaok'ebeli“ da osmalta riskhva – ambavi kartveli mamluki ioseb mghebrishvilisa ["The Tamer of Storms" and the Scourge of the Ottomans – The Story of the Georgian Mamluk Ioseb Mgebirshvili]*. Retrieved from https://toreltv.wordpress.com/2018/06/05/ქარბუქთა-დამაოკებელი-დ/

Ali-Bej [Ali-Bey]. (2019). Retrieved from https://uchebanafive.blogspot.com/2019/11/blog-post_13621.html

Al'fapedija. (n.d.). *Ali Bej al'-Kabir [Ali Bey al-Kabir]*. Retrieved from https://alphapedia.ru/w/Ali_Bey_al-Kabir

Voennyj Jenciklopedicheskij Leksikon (izdavaemyj obshhestvom# voennyh# i literatorov#) [Military Encyclopedic Lexicon (published by the Society of Military and Literary Scholars)]. (1852). Vol. I, St. Petersburg.

Iljushina, M. Ju. (2009). Pismennye istochniki po izucheniju mamljukskogo fenomena v Egipte v Osmanskij period (XVI-XVIII vv.) [Written Sources for Studying the Mamluk Phenomenon in Egypt during the Ottoman Period (16th-18th Centuries)]. *vestnik SPBGU [Bulletin of St. Petersburg State University]*. Ser. 13, Issue 1.

Istorija Vostoka [History of the East]. (2000). In six volumes. Vol. III. Moscow.

Kobishanov, T. Ju. (2008). Russkie mamljuki v Osmanskom Egipte [Russian Mamluks in Ottoman Egypt]. *Vestnik Moskovskogo universiteta [Bulletin of Moscow University]*. Ser. 13, Oriental Studies, #2.

Mirovalev, M. (2018). *Raby na trone faraonov [Slaves on the Throne of the Pharaohs]*. Retrieved from https://fergana.agency/articles/103092/

Smirnov, V. (2009). *Rol' voennoj organizacii v formirovanii i razvitii social'no-politicheskoj struktury Osmanskogo Egipta (XVI-XVIII vv.) [The Role of Military Organization in the Formation and Development of the Socio-Political Structure of Ottoman Egypt (16th-18th Centuries)]*. Moscow.

Chapichadze, Z. (2016). *Istorija Gruzii [History of Georgia]*. Tbilisi.

Hrapunov, N. I., & Gin'kut, N. V. (2015). Krym v 1784 g. po svidetel'stvu francuzskogo puteshestvennika barona de Bara [Crimea in 1784 According to the Testimony of the

French Traveler Baron de Bar]. *Materialy po arheologii, istorii i jetnografii Tavrii [Materials on the Archaeology, History, and Ethnography of Tavria]*. Vol. XX. Simferopol.

Junionpedija. (n.d.). *Ali-bej al'-Kabir [Ali Bey al-Kabir]*. Retrieved from https://ru.unionpedia.org/Али-бей_аль-Кабир

qebedo. (2019). *Nad chem posmejalsja Sfinks – 3 [What the Sphinx Laughed At – 3]*. Retrieved from https://qebedo.livejournal.com/1709471.html

Clarence-Smith, W. G. (2006) *Technological and scientific change in early modern Islam.* c. 1450-c.1850. IEHC Helsinki, 21-25 August, session 121.

Crecelius, D. (1981). *The roots of Modern Egypt: A study of the Regimes of 'Ali Bey al-Kabir and Muhhamad Bey Abu al-Dhahab, 1760-1775.* Minneapolis: Bibliotheca Islamica.

Dgebuadze, L. (2020). *Kto takie «Mamljuki»? [Who are the "Mamluks"?].* Retrieved from https://vk.com/@qartuli_moambe-kto-takie-mamluki

Georgian Journal. (25 Jul, 2018). Graves of Georgian Mamelukes in Cairo Egypt. Retrieved from https://www.georgianjournal.ge/culture/34780-graves-of-georgian-mamelukes-in-cairo-egypt.html

Kressel, G. M., & Aharoni, R. (2018). *Egyptian Emigres in the Levant of the 19th and 20th Centuries*. Jerusalem Center for Public Affairs.

Listen Notes. (2025). *Ali Bey.* Retrieved from https://amp.listennotes.com/ms/top-podcasts/ali-bey/amp/

Lusignan, S. K. (1783). *A Hystory of the Revolt of Aly Bey against the Ottoman Porte*. London.

علي بك الكبير. (Mgebrishvili). Retrieved from https://www.marefa.org/علي_بك_الكبير

https://www.youtube.com/watch?v=kmGxIXPUeaU

https://360wiki.ru/wiki/Ali_Bey_al-Kabir

https://wiki5.ru/wiki/Ali_Bey_al-Kabir

https://clever-geek.imtqy.com/articles/2097983/index.html

https://de2.wiki/wiki/Ali_Bey_al-Kabir

https://france2.wiki/wiki/Ali_Bey_al-Kabir

https://he2.wiki/wiki/Ali_Bey_al-Kabir